მშობლები სკოლაში ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის

ავტორი მეგი კავთუაშვილი

სკოლებში სისუფთავის დაცვა სკოლის დირექტორების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების მთავარი პრიორიტეტია. მიუხედავად იმისა, რომ ჰიგიენური ნორმების შენარჩუნება საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს, სისუფთავის დაცვის სანიმუშო პრაქტიკა ბევრ სკოლაში არ გვაქვს.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ 2024 წელს ჩატარებული თემატური მოკვლევა ადასტურებს, რომ სკოლების გარკვეული ნაწილი სველი წერტილების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისას სირთულეებს აწყდება. ამავე ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული სიტუაციის განმაპირობებელი მიზეზები კომპლექსურია და მოიცავს: ინფრასტრუქტურულ გაუმართაობას, პასუხისმგებლობის განაწილების მხრივ ხარვეზებს, სველი წერტილების მოწესრიგებაში ჩართული ადამიანური რესურსების ნაკლებობას და მათი შრომის ანაზღაურების სიმცირეს. გამოწვევად რჩება მოსწავლეთა ჰიგიენური ქცევის საკითხიც.

სპეციალისტების დასკვნით, უსაფრთხო სანიტარიული სისტემების არარსებობა ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს. სველი წერტილით სარგებლობისაგან თავის შეკავებამ შესაძლოა გამოიწვიოს შარდის ბუშტის ფუნქციის დარღვევა (მაგ., შეუკავებლობა), საშარდე გზების ინფექციები და სხვა დაავადებები.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა და საზოგადოების კულტურული განვითარების დონისთვის შესაფერისი ტუალეტების მოწყობა ყველა სკოლაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხო პრაქტიკის სწავლება, მოსწავლეთა მოტივირება, მოუფრთხილდნენ გარემოს, თავადაც დაიცვან ჰიგიენის წესები და თანატოლებშიც გაავრცელონ სასარგებლო ქცევითი მესიჯები. ამ მიზნის მისაღწევად კი სკოლისა და ოჯახის გაერთიანება საუკეთესო გადაწყვეტილებაა.

იმისთვის, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ პირადი ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, კარგი იქნება, დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების კამპანია თავად მოსწავლეთა და მათი მშობლების მონაწილეობით. ოჯახის ზრდასრულ წევრებს უდიდესი გავლენა აქვთ ბავშვებზე. მასწავლებლებისა და მშობლების ერთობლივი ძალისხმევა შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს მოსწავლეთა ჰიგიენური ქცევის გაუმჯობესებისთვის.

კამპანიაში შემავალი აქტივობების მიზანი უნდა იყოს, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სუფთა და მოწესრიგებულ გარემოს მათი ჯანმრთელობისთვის და დარწმუნდნენ, რომ მნიშვნელოვანწილად სწორედ მათზეა დამოკიდებული, როგორ გარემოში მოუწევთ ყოფნა. ასეთი კამპანია დაუკავშირდება კანონის უზენაესობის პრინციპს და წესების დაცვის აუცილებლობაზეც გაამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას.

სასკოლო საკითხზე ცნობიერების ამაღლების კამპანია სკოლის წიაღში უნდა დაიგეგმოს. სასურველია, ინიციატივა სკოლის წარმომადგენლებს ეკუთვნოდეთ და ორგანიზებასაც ისინი უწევდნენ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაგეგმვის პროცესშივე მონაწილეობდნენ აქტიური

უფროსკლასელები და მშობლები. მრავალფეროვანი საორგანიზაციო ჯგუფის არსებობა განაპირობებს იმას, რომ კამპანია ყველა კატეგორიის მოსწავლეს მისწვდება, რაც სასურველი შედეგის წინაპირობაა.

საინფორმაციო კამპანიის აქტივობები შეიძლება ყველა სკოლაში სხვადასხვანაირად ჩატარდეს, იმისდა მიხედვით, რა ტიპის პრობლემა დგას სკოლაში და რისი გაუმჯობესება გვინდა. ნებისმიერ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბავშვების ასაკობრივი შესაძლებლობები და თავისებურებები, ასევე – მშობელთა წარმოდგენები, სურვილები და რესურსები.

მშობელთა გამოკითხვა

გონივრული იქნება, კამპანიის დასაწყისში ჩატარდეს მშობელთა გამოკითხვა, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს. კითხვარისთვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი კითხვები:

- გთხოვთ, გაგვიზიაროთ, რა ინფორმაციას ფლობთ სკოლის სველიწერტილების შესახებ:

    - სველ წერტილებში არის ხელების დაბანის შესაძლებლობა.
    - სველ წერტილებში არ არის ხელების დაბანის შესაძლებლობა.
    - სველი წერტილები სუფთაა.
    - სველი წერტილები სათანადოდ არ სუფთავდება.
    - სველ წერტილებში მუდმივად არის საპონი და ქაღალდი.
    - სველ წერტილებში ხშირად არ არის საპონი და ქაღალდი.
    - საპირფარეშოს კაბინის კარი იკეტება და უსაფრთხოა.
    - საპირფარეშოს კაბინის კარი არ იკეტება.

- გთხოვთ,კომენტარის ველში მიუთითოთ, რას გააუმჯობესებდით სკოლის სველ წერტილებში:

_____
_____
_____

- თქვენი აზრით, რამდენად იცავენ ბავშვები ჰიგიენის ნორმებს სკოლაში?
    - იცავენ
    - არ იცავენ
    - არ მაქვს ინფორმაცია

- რამდენად იცავენ ბავშვები ჰიგიენის ნორმებსშინ?
    - ზედმიწევნით იცავენ
    - ნაწილობრივ იცავენ
    - არ იცავენ

- თქვენი აზრით, რა შეიძლება გააკეთოს სკოლამ, რომ ბავშვებიმოუფრთხილდნენ სკოლის ინვენტარს და შემცირდეს ვანდალიზმის ფაქტები სველ წერტილებში?

_____
_____

- თუ გსურთ, დაგვეხმაროთ ბავშვებისთვის ჰიგიენური ნორმების დაცვის სწავლებაში, გთხოვთ, მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ერთი ან რამდენიმე აქტივობა:

    - მზად ვარ, მივიღო მონაწილეობა სამუშაო შეხვედრებში და წვლილი შევიტანო ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიის შინაარსის შექმნაში.

    - მზად ვარ, მივიღო მონაწილეობა დისკუსიაში „ვის რა როლი გვაქვს სკოლაში ჰიგიენის დაცვის საქმეში“.

    - ვარ პროფესიით ექიმი და მსურს, ვესაუბრო ბავშვებს ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

    - ვარ პროფესიით იურისტი და მსურს, ვესაუბრო ბავშვებს სკოლაში არსებული წესების დაცვის აუცილებლობაზე.

    - ვარ ფსიქოლოგი და შემიძლია დისკუსიის ფასილიტაცია სასკოლო ვანდალიზმზე, მის მიზეზებსა და შედეგებზე.

    - ვარ აქტიური მოქალაქე და მსურს, ვესაუბრო ბავშვებს იმის შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის სწორი ჰიგიენური ქცევა სისუფთავის შენარჩუნებისთვის.

    - ვმუშაობ გარემოს დაცვის სფეროში. შემიძლია, ვესაუბრო ბავშვებს სუფთა და უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობაზე.

    - ვარ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი. შემიძლია, ვესაუბრო ბავშვებს ჰიგიენის ნორმების დარღვევასა და ინფექციური დაავადებების გავრცელებას შორის კავშირზე.

    - ვარ მხატვარი/გრაფიკული დიზაინერი და შემიძლია, დავეხმარო ბავშვებს პოსტერების შექმნაში.

    - შემიძლია, ორგანიზება გავუწიო სკოლაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ვიზიტს, რომ შეხვდნენ ბავშვებს და განიხილონ ჰიგიენის დაცვის საკითხები.

    - შემიძლია, დავეხმარო ორგანიზატორებს და შევასრულო მცირე დავალებები საერთო მიზნისთვის.

    - შემიძლია, წელიწადში ერთხელ შვილთან ერთად მონაწილეობა მივიღო სკოლის დასუფთავებაში.

გამოკითხვის შედეგები წარმოაჩენს მშობელთა რესურსებს, სურვილებსა და დამოკიდებულებას, რაზეც შეიძლება დანარჩენი აქტივობები დაშენდეს.

დისკუსია კლასებში

სასურველია, ყველა კლასში ერთდროულად ჩატარდეს დისკუსია, რომელსაც მშობელი და მასწავლებელი ერთობლივად გაუძღვებიან. სადისკუსიო შეკითხვებად შეიძლება განვიხილოთ:

1. როგორ გარემოში მომწონს ცხოვრება?
2. როგორ გავხდე სკოლაში წესრიგისა და სისუფთავის თანამონაწილე?
3. რას ვგრძნობ, როცა საპირფარეშო არ არის სუფთა?
4. რატომ დგას ეს პრობლემა ჩვენ სკოლაში და რა შეიძლება გაკეთდეს მის გადასაჭრელად?

დისკუსიაში მონაწილე ბავშვები არაერთ საინტერესო იდეას წამოჭრიან, რომელთა შორისაც რამდენიმეს მაინც მომდენო ერთი თვის განმავლობაში განახორციელებენ. ამ ყველაფრის ორგანიზებასა და მონიტორინგში კი აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული ფასილიტატორი პედაგოგი და მშობლები. ეს შეიძლება იყოს კედლის პოსტერების მომზადება, უფროსკლასელების შეხვედრა უმცროსკლასელებთან, საინტერესო ადამიანის მოწვევა და მასთან საუბარი, ექსპერიმენტის ჩატარება და სხვ.

ჰიგიენური ქცევის წესების განხილვა

სკოლაში ჰიგიენური ქცევის წესებს რეგულარულად განიხილავენ პედაგოგები, თუმცა ამ თემაზე მსჯელობა ყველა მხარის მონაწილეობით იშვიათად ხდება. წესების განხილვას უმეტესად დიდაქტიკური ხასიათი აქვს და ბავშვებისთვის მოსაწყენია. იმისთვის, რომ ეს პროცესი უფრო ცოცხალი და, რაც მთავარია, შედეგიანი გახდეს, კარგი იქნება სკოლის ჩარჩოში საჯარო განხილვის ფორმატის შემოტანა. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები, სკოლის კურსდამთავრებული, მოწვეული სპეციალისტები და სხვა პირები. საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი საკითხი, რომელსაც მონაწილეებს წარუდგენს მოდერატორი. შესაძლოა, აჩვენოს პრეზენტაციაც, რომელშიც ახსნილი და აღწერილი იქნება პრობლემის არსი. მონაწილეებს უნდა შეეძლოთ აქტიურად საუბარი მის შესახებ. ასეთი განხილვისთვის შესაფერისი მრავალი თემა არსებობს, მაგალითად, ვანდალიზმი, სკოლის ინვენტარის დაზიანება, დაბინძურებულ გარემოში ინფექციების გავრცელების რისკი.

საჯარო განხილვაში მონაწილეობა არ შეიძლება სავალდებულო იყოს. ორგანიზატორების ამოცანა უნდა გახდეს ისეთი აქტივობების მოფიქრება, რომელიც მოსწავლეებს დასწრების მოტივაციას გაუჩენს.

ცხადია, საჯარო განხილვის ფორმატში აკრძალული უნდა იყოს პერსონალური ინფორმაციის გაზიარება და ცალკეული პირის შერცხვენა ან გაკიცხვა. ამის შესახებ ყველა მონაწილე წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. ასეთი შეხვედრის მიზანია სხვადასხვა პერსპექტივიდან საკითხის განხილვა და სასკოლო საზოგადოების გაერთიანება საერთო მიზნის გარშემო.

სპეციალისტების შეხვედრების ორგანიზება მოსწავლეებთან, მასწავლებლებსა და მშობლებთან

ექიმებს, იურისტებს, ფსიქოლოგებს, გარემოს დამცველებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებსა და არაერთი სხვა საჭირო პროფესიის ადამიანებს სკოლაში ერთი საერთო სტატუსი აქვთ. ეს არის მოსწავლის მშობელი. სკოლის ადმინისტრაციას შეუძლია მოიწვიოს ისინი როგორც

პროფესიონალები და მისცეს შესაძლებლობა, შეხვდნენ ბავშვებსა და პედაგოგებს, გაუზიარონ თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და ამით აამაღლონ სასკოლო საზოგადოების ცოდნა სხვადასხვა საკითხის, მათ შორის ჰიგიენის ნორმების დაცვის შესახებაც. უცნობი ადამიანის სკოლაში ვიზიტი განსხვავებულ და ბავშვებისთვის საინტერესო ატმოსფეროს შექმნის. გარდა ამისა, ერთი საკითხის სხვადასხვა პროფესიულ ჭრილში განხილვა და მოსწავლეთა დაფიქრება კიდევ უფრო მიგვაახლოებს მიზანს.

მოსწავლეებისა და მათ მშობლების აქტიური მონაწილეობა და მათი ინფორმირება

სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს შეუძლიათ, დაავალონ მოსწავლეებს სკოლაში სველი წერტილების რაოდენობის განსაზღვრა, მშობლებთან ერთად დამლაგებლების გამოკითხვა იმის შესახებ, რამდენი საპონი, ქაღალდი და ხელსაწმენდი სჭირდება ყოველდღიურად ერთ საპირფარეშოს და კიდევ რა რესურსი იხარჯება სისუფთავის შენარჩუნებაზე, ისევ მშობლების დახმარებით ადმინისტრაციაში გარკვევა, ვინ და რამდენით აფინანსებს ამ ინვენტარის შეძენას, რა თანხა სჭირდება სკოლას ამ ყველაფრისთვის დღეში და წელიწადში.

ასეთი დავალებების შესრულება, გარდა იმისა, რომ დახვეწს ცხოვრებისთვის აუცილებელ უნარებს, ამ საკითხის შესახებ მოსწავლეთა ცოდნასაც აამაღლებს, რაც შეიძლება რესურსების მოფრთხილების წინაპირობად იქცეს.

მოსწავლეებისა და მათი მშობლების მონაწილეობით სკოლაში ჰიგიენის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიისთვის კიდევ მრავალი აქტივობის დაგეგმვაა შესაძლებელი. კამპანია ყველაზე ეფექტური იქნება, თუ მასში ჩაერთვებიან ის ადამიანები, რომლებსაც ეს პირადად ეხება. მრავალფეროვანი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც რეგულარულად შეიკრიბება და იმუშავებს მოსწავლეებისთვის დადებითი ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებაზე, ადრე თუ გვიან შედეგს აუცილებლად გამოიღებს.